ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 277

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35 ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის №20.1150.1428 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) 5ა, 5ბ, 5გ ბლოკებთან მიმართებაში - ჯამურად მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს – 2.0 -ით;

ბ) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, შემდეგი პირობით:

ბ.ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება განხორციელდეს სამშენებლო ნებართვის მიღებამდე;

ბ.ბ) განხორციელდეს საკადასტრო კოდზე №01.13.05.004.173 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდთან №01.13.05.004.142 მიმართებაში - ფართის უცვლელად (რაც აისახება კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში);

ბ.გ) განხორციელდეს საკადასტრო კოდზე №01.13.05.004.059 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდებთან: №01.13.05.004.142 და №01.13.05.004.173 მიმართებაში ფართის უცვლელად (რაც აისახება კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში);

გ)არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**